№ 52

ხუთშაბათი, 8 მარტი 1895

1877—1895

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 52

ხუთშაბათი, 8 მარტი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**სალომე პეტრეს ასული ყიფიანისა, გიორგი და პეტრე ყიფიანები და პელაგია ყიფიანის ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა თვისისა და მეორენი მამისა **იოსებ ყიფიანისა**, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ სოფ. ყიფიანთ-უბანს დაკრძალვაზედ დასასწრებად პარასკევს, 10 მარტს.

---

ქართველთა ამხანაგობისაგან.

პასუხად ქუთაისიდგან მიღებულის წერილისა და ყოველთა საცნობლად ვაცხადებთ, რომ **თ. აკაკი წერეთლის უკვე დაბეჭდილისა და დაუბეჭდავის ნაწერების ცალკე გამოცემა შესყიდული აქვს ქართველთა ამხანაგობას 1892 წ. ოქ**ტომბრის 16-ს ნოტარიუსის წესით ხელ-შეკრულობის ძალით. **ვინც ამხანაგობის ნება-დაურთველად გამოსცემს ზემო ხსენებულის ავტორის ნაწერებს, სამოქალაქო პასუხის-გებაში მიეცემა.**

---

„ქართველ არტისტების ამხანაგობის ორი წარმოდგენა, რომლებიც დანიშნული იყო ოთხშაბათს, 8 მარტს დ პარასკევს, 10 მარტს, მთავრობის განკარგულებით გადადებულ იქმნა: პირველი—ოთხშაბათს, 15 მარტისათვის, და მეორე—პარასკევს, 17 მარტისათვის. ბილეთები, რომელიც ნაყიდია ამ ორის წარმოდგენისა, თავისს ძალას არა ჰკარგავს.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

(3—უ—2)

---

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, 9 მარტს, მოწვეულია საგანგებო სხდომა ტფილისის საპკოს ხმოსნებისა, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს განსვენებულის ქალაქის მოურავის პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის ხსენების პატივისცემა.

*** პ. ა. იზმაილოვის გარდაცვალების გამო ქუთაისის ქალაქის მოურავისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო ტფილის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ივანენკომ:

„ტფილისის ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის უდროოდ გარდაცვალებამ ყველა ჩვენ დიდად შეგვაწუხა. ქალაქის საბჭო და კერძოდ მე უგულ-წრფელესად ვუმტკიცებთ ჩვენსს თანაგრძნობას ქ. ტფილისს ასეთი ძვირფასის მოღვაწის დაკარგვისათვის.

ქუთაისის ქალაქის მოურავი ლოლუა".

*** ამგვარივე დეპეშა მოუვიდა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს ბათუმის ქალაქის მოურავის ა. ი.კოიანდერისაგან.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ შეერთებულს კრებულს ქალაქის გამგეობისასა და იმ კომისისას, რომელსაც მინდობილი აქვს განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის ხსენების პატივის-ცემა, გარდაუწყვეტია მოხოლოდ იმას მისცენ ნება განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის ცხედარის დაკრძალვის დროს სიტყვის წარმოთქმისა, ვინც თავისს სიტყვას ადრევე წარუდგენს ამ კრებულს განსახილველად.

*** ტფილისში დიდი ლაპარაკია აღძრული იმის გამო, რომ რაკი გარდაიცვალა ქალაქის მოურავი პ. ა. იზმაილოვი, ეხლავე დაიწყებენ ქალაქის მოურავის არჩევანს თუ გადადებულ იქნება ახალ საერთო არჩევანებამდეო. ამის შესახებ ადგილობრივი ადმინისტრაცია იმ აზრისაა, რომ ა. ა. ივანენკო დარჩება თანამდებობის აღმასრულებლად მომავალ საერთო არჩევანებამდეო.

*** მთავრობას გარდაუწყვეტია, შეისყიდოს ის ადგილები, სადაც ახალციხესა და ახალქალაქს შუა მდ. მტკვარზედა და მისს ტოტზედ გაიყვანენ რკინის გზის ხიდებს.

*** ტფილისის გაზეთებს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 7 მარტს პანაშვიდისა და წირვის გარდახდის შემდეგ, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო, ნიკოლოზის რკინის გზის სადგურზედ გადიტანეს განსვენებული პ. ა. იზმაილოვი, რომელსაც ტფილისში წამოასვენებენო. განსვენებულის კუბოზედ რამდენიმე გვირგვინი იქმნა დადებული—პეტერბურგის სომეხ ახალგაზდათაგან, პეტერბურგში მცხოვრებ სომეხთაგან და ა. ი. მანთაშევისაგან.

*** ფეხით მოგზაური რენენგარტენი, რომელიც ამ წლის იანვარში ტფილისშიაც იყო და აქედგან სპარსეთისაკენ გაემგზავრა, ახლა გვწერს, რომ იგი მარტის 3-ს, დილის 9 საათზედ, უკვე გადასულა სპარსეთის სამზღვარში. რუსეთის იმპერიაში ფეხით გაუვლია 3742 ვერსი. იმედოვნებს-რა, რომ თავისს აზრს აღსრულებაში მოიყვანს, იგი მადლობას უხდის ყველა იმათ, ვინც-კი ამ მოგზაურობაში რაიმე შემწეობა აღმოუჩინა.

*** კვირას, 12 მარტს, პატივცემული ბ-ნი რატილი გამართავს კონცერტს, რომელზედაც უმეტეს ნაწილად ხორო იმღერებს გურულსა და იმერულს სიმღერებს. ამ კონცერტის შემოსავლით ბ-ნს რატილს ჰსურს თავისს დასისათვის ახალი ქართული ტანისამოსი შეიძინოს; უეჭველია ქართველი საზოგადოება თანაგრძნობას აღმოუჩენს ამ განზრახვას.

*** „ნოვოე ობოზრენიე"-ს მიუღია დეპეშა, რომ უჯარაში მომხდარ ყაჩაღების თავ-დასხმის გამოსაძიებლად უკვე მისულან ბაქოს საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი ბ-ნი სტალინსკი და გამომძიებელი ბ-ნი ტიხოცკი. ყაჩაღებს ყაზახები გამოჰიდებიან და, როგორც ხმა დადის, ჯევათის მაზრაში სროლა მოჰხდომიათ, რომლის დროსაც მოუკლავთ 5 ყაჩაღი და დაუჭრიათ 2 ყაზახი. ჰფიქრობენ, რომ ეს გუნდი ყაჩაღებისა თალიფისა და აბას II-სა უნდა იყოსო. ურგარდტის ქარხნის პატრონს რამდენჯერმე მიუღია უსახელო წერილი, რომლითაც 4 ათასს მან. თურმე სთხოვდნენ და აშინებდნენ, რომ თუ არ გამოჰგზავნით, თავს დაგესხმებით და აგიკლებთო, მაგრამ ამ მუქარასათვის იმას ყურადღება არ მიუქცევია.

*** წარსულის წლებისამებრ, აპრილის უკანასკნელს რიცხვებში კავკასიის საბრეშუმო სადგურში დაიწყება ლექციები აბრეშუმის მოყვანისა და ფუტკრის მოშენებაზედ. ივლისის პირველ რიცხვებიდგან-კი ტფილისის საზაღოსნო სკოლის დარბაზში წაკითხული იქნება ლექციები მევენახეობაზედ ბ. კლაუსენის მიერ. ამ ლექციებზედ მოწვეულები არიან სოფლის მასწავლებლები.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ბროშურა შესახებ ელექტრონისა, ტელეგრაფისა, ტელეფონისა, აპარატებისა და ზოგიერთ ელექტრონის მანქანებისა შედგენილი ტელეგრაფ-ტელეფონის მოხელე მათე იანქოშვილის მიერ.

*** ქ. ფოთი: ნამდვილი მაისის დარებია აქეთ. სწორედ შეგვაშინა ზამთრის სითბომ, რადგანაც ზაფხული ცუდი მოჰყვება ხოლმე ასეთს ზამთარს. ეხლა-კი წვიმა-ნარევი თოვლი შემოეპარა ამინდს.

*** სოფ. აბაშა, (ქუთ. მაზრა): წელს ენკენისთვიდგან აქაც გაიხსნა სკოლა ბ-ნის რაჟდენ კანდელაკის თაოსნობით, რომელმაც ერთი წელიწადია რაც ტფილისის სასულიერო სემინარია დაასრულა, და გულმოდგინედ მიჰყო ხელი სკოლის დაარსების საქმეს. ოცი წელიწადი მეტი იქნება, რაც ამ სოფლის ზოგიერთს მცხოვრებს დაებადათ აზრი სკოლის დაარსებისა, მაგრამ აქამდის აზრი აზრად იყო დარჩენილი; ბ. რ. კანდელაკს ერგო წილად განხორციელება ამ კეთილის საქმისა; რაშიაც დიდს შემწეობას აძლევს მისი მეუღლე ელისაბედ ლუკას ასული (ქუთაისში აქვს სასწავლებელი გათავებული), წერა-კითხვასა და ჭრა-კერვას ასწავლის იგი. ბავშვები სკოლაში ორმოც-დაათამდეა და დიდის ხალისითაც ეტანებიან სწავლას. ბ. რ. კანდელაკი კიდევ ბევრს სხვას იმედებს გვაძლევს: სახალხო წიგნაკების დარიგებისას და წიგნთ საცავის დაარსებისაც-კი. ვისურვებთ განხორციელებას.

*** სოფ. გლდეთი, (შორაპნის მაზრა): ყველას ჰსურს მოაშენოს შინაური პირუტყვი, მაგრამ საძოვარი მინდვრები სრულიად არ მოიპოვება. ამიტომ აქაურები იძულებულნი არიან თავი დაანებონ პირუტყვის მოშენებას, რადგანაც რაც საქონელი ჰყავთ, ისიც სიმშილით ეხოცებათ ბაკებში. არიან ისეთი ბატონებიც, რომელნიც გლეხის ცხოვრებას სრულიად ანადგურებენ. დაინახავენ თუ არა საქონელს თავიანთის ადგილების პირ-დაპირ, მაშინვე მიესწრაფებიან დასაჭერად. წაუხდენია რამე საქონელს თუ არა, იმათთვის სულ ერთია, გარდაახდევინებენ ერთს ან ორს მანეთს და გაუშვებენ სახლში. არ მისცემ და უარესია, გადააბრუნებს და დაჰკლავს. წადი და უჩივლე; პასუხს გაგებს მაგრამ მაინც თავისას გაიტანს. ამის გამო ს. გლდეთი ამ ჟამად დიდს გაჭირვებაშია.

*** სვანეთი. წელს ზამთარი ჩვენში წინანდელსავით არ მძვინვარებს; თოვლი ბარად ერთს მტკაველზედ მეტი არ არის, თუმცა მთებზედ ბლომად მოსთოვა. შარშანდელი მოსავალი წინანდელზედ უკეთესი იყო, მაგრამ ბევრს სიმინდის სყიდვა დასჭირდება. აქამდის ლეჩხუმიდგან გადმოგვქონდა, მაგრამ საუბედუროდ წრეულს აქაც ნაკლები მოსავალი იყო.

---

## კორესპონდენცია.

—

**ს. მიქელ გაბრიელი,** (გურია). წარსულის წლის 15 აგვისტოს თავად გურიელების მამულის მზრუნველის სურვილისამებრ მოხდა ყრილობა ჩვენის საზოგადოების მხვნელ-მთესველებისა. ყრილობას უნდა მოესმინა, რამდენი ფული „საყანულის" სიმინდი უნდა ეხადათ ქცევაზედ თავად გურიელების იმ მიწებზედ, რომლებიც ამ სამი-ოთხი წლის წინ გაკაფეს ჩვენის საზოგადოების მცხოვრებლებმა. გარდა ამისა ყრილობას უნდა გამოსცხადებოდა ტყის ბაჟი და სხვ. წარსულ წლამდე ამ ახალ-გაკაფულს მიწებზედ გადაჭრილი ღალა არა ყოფილა: მუშა სთესავდა სიმინდს და წლის ბოლოს თავად გურიელების მოხელეები „შეფასებით" ღებულობდნენ ღალას. თუმცა „შეფასებაში" შეიძლებოდა შეცდომაც მომხდარიყო, მაგრამ ორი ნაწილი ნამუშავარისა მუშას რჩებოდა. საუბედუროდ ჩვენთვის ეს მხოლოდ წარსულ წლამდე გაგრძელდა და 15 აგვისტოს ბევრი დაგვიღონა პატივცემულმა მამულის მზრუნველმა ხალხს შემდეგი გამოუცხადა: ამ დღიდგან გურიელების მამულში გადაჭრილი ღალა იქნებაო. საუკეთესო მიწები გაიცემა ქცევა 16 ფუთად, შუათანა—13 ფუთად და უკანასკნელი მიწები—10 ფუთადო.

იტყვით: გადაუჭრელს ღალას ერთხელ გადაჭრილი სჯობიანო, და ჩვენც ამისი თანახმა ვართ; მაგრამ ვაი ასეთს გადაჭრილს ღალას! ყრილობაში ერთი ალიაქოთი ასტყდა, რომლიდგანაც უმეტესად ერთი და იგივე ხმა ისმოდა: „რაღაფერ ვიმუშაოთ საგურიელოში; თექვსმეტს ფუთს რომ ქცევაზედ გადვიხდით, ჩვენ რაღა დაგვრჩებაო.

ბ-ნმა მზრუნველმა უკანასკნელი სიტყვა შემდეგით დააბოლოვა: ვისაც გსურთ, ამგვარად იმუშავეთ და ვისაც არა, თავი დაანებეთო. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა. მას შემდეგ ბევრს ვჰკითხე, რას იზავთ, იმუშავებთ თუ არა ამ „საყანულით"-მეთქი და ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მივიღე: რა ვქნათ? დავანებებთ თავს და სხვა რასმეს გავიჩენთო, მაგრამ ამ სიმინდის დაწეულ ფასობაზედ ამდენი „საყანული" დაგვადევს და რაღას უნდა ველოდეთ ყანის მუშაობაშიო.

მართლა და ამ რამდენისამე წლის წინ ამ ერთად-ერთის ჩვენის ცხოვრების სალსარის (სიმინდის) ფასი ძლიერ დაეცა; ამას ახლა ზედ დაერთო ეს „აუტანელი ტვირთი" და ამისთვის სწორედ მოსალოდნელია, რომ ჩვენმა მხვნელ-მთესველებმა მათგან გაკაფულს საგურიელოს თავი დაანებოს, თუ მცირეოდენი საშუალება მაინც არის კიდევა აქეთ. მაშინ ის ადგილები, რომლებიც ამ ოთხი-ხუთის წლის წინად წარმოადგენდნენ ან უსარგებლო ჭაობებს, ან ტურა-მგლების სოროებსა და რომლებზედაც ახლა დალოცვილს მუშის თოხს მშვენიერი სიმინდისა და ღომის ყანები მოჰყავს, შეიძლება ისევ გაუდაბურდნენ და ხელ-ახლა მიყრუვდნენ. თუ არა ვცდები, რამდენისამე წლის წინ ასეთივე ბედი ჰხვდა თავად ნაკაშიძეების მიწებს, სადაც ბ-ნმა სანაკაშიძეოს მზრუნველმა ქცევაზედ 15 ფუთი ღალა დაადო. თუ სანაკაშიძეოს ჩვენმა გლეხებმა ერთბაშად თავი დაანებეს, საგურიელო რაღა არის?

უმეტეს ნაწილად ჩვენს გლეხებს საკუთარი მიწები არა აქვთ და, შეიძლება, ბევრმა მათგანმა ისევ იმ ღალით იმუშაოს საგურიელოში, მეტი რა გზა ექნებათ; მაგრამ ეს ვერ ფერი სანატრელი საქმე იქნება. სამწუხარო მაგალითები ბევრი მახსოვს სანაკაშიძეოში, სადაც არა ერთხელ მომხდარა, რომ მეყანეს საბ ტონოში ნამუშავარი „საყანულად" არ ჰყოფნია. მოსალოდნელია, რომ ასეთი შემთხვევები საგურიელოშიც იჩე

ნენ თავს და მაშინ ხომ უამისოდაც ღარიბებს ჩვენს გლეხებს ილაჯი გაუწყდებათ.

კარგი იქნება, რომ მამულის მზრუნველი გულ-დასმით დაუკვირდეს საქმის ასეთს მდგომარეობას. სასურველია მზრუნველმა მიჰხედოს მეყანეების შეძლებას, გამოიკვლიოს, შეიძლებს ხალხი ამ ღალით მუშაობას თუ არა და ან რა დარჩება მას ქცევა მიწის მოსავლიდგან 16 ფუთის გადახდის შემდეგ და ამის მიხედულობით გადასჭრას „საყანული".

ორიოდე სიტყვა თავად გურიელების ტყეზედაც. არა მგონია, რომ ის უწესოებანი, რომელნიც ბ-ნის მზრუნველის მოხელეებმა ჩაიდინეს გასულს ზაფხულში, ბ-ნს მზრუნველს სცოდნოდეს. აი მაგალითად: გლეხს გადაუხდია ერთი მოხელისთვის საფიცრეხის ბაჟი და ფიცარი გაუთლია. მოდის მეორე მოხელე და ახალს ბაჟს სთხოვს. არ აძლევ,—ფიცრებს გართმევს. სასურველია ყურადღება მიექცეს ამ უსამართლობას.

ხრიალეთელი მუშა-ბიჭი.

4 მარტს, 1895 წ.

—

**სვანეთი.** ყველამ იცის, რა მიყრუებული კუთხეა სვანეთი. ზამთრობით სვანეთში გადასვლა შეუძლებელია, ზაფხულობით-კი საშიშარია, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ სვანეთი დღეს ყველაფერს მოკლებული არის: მართლაც, ჟურნალ-გაზეთები (სამწუხაროდ მათ სამიოდე კაცი იწერს მარტო) ორის თვის განმავლობაში ძლივს მოაღწევს ხოლმე ჩვენამდის, ასე რომ მანდაური ძველი ამბავი ჩვენთვის ახალია; წერილის გაგზავნა რომ გვინდოდეს, ან უნდა კაცი ვიქირაოთ ან არა და ამისი ზრუნვა სრულიად დავუტეოთ. ამიტომაც, რომ აქედგან ამბებს ძვირად თუ იწერებიან ხოლმე ჟურნალ-გაზეთები. ერთის სიტყვით, უგზოობა ძლიერ გვაწუხებს და არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ?.. მაგრამ როგორც შევიტყვეთ, მთავრობას გადაუდვია რამდენიმე ათასი მანეთი სვანეთში გზების გასაყვანად. ადვილად წარმოიდგენთ, მკითხველო, რა სიხარულს მივეცით თავი ამ ამბის გაგონებაზედ?.. დიაღ, ძალიან გვიხაროდა, მაგრამ ეს სიხარული მწუხარებად გარდაგვექცა. როგორც გვეუბნებიან და გვესმის, ზოგიერთს პირებს გზის გაყვანა არასასურველისა და გამოუყენებელის მხრით, ე. ი. ლენხერით ჰსურთ თურმე და სცდილობენ, ეს სურვილი ასრულონ. ლენხერით გზის გაყვანის უვარგისობაზედ და გამოუყენებლობაზედ ამ წერილში ჩვენ არაფერს არ ვიტყვით; ამ საგნის შესახებ ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ შემდეგ, როდესაც-კი დრო ნებას მოგვცემს. აქ-კი უნდა ვურჩიოთ იმათ, რომლებსაც ლენხერით გზის გაყვანა ჰსურთ, რომ პირად ინტერესები უკან დასწიონ და საზოგადო ინტერესებს ემსახურონ.

ამ ჟამად სვანეთსა ჰყავს თავისი საკუთარი ექიმი, ბ-ნი ტერტეროვი და დალაქი, ბ-ნი ბარელაძე. ამ გარემოებით ჩვენ, რასაკვირველია, ძლიერ მოხარული უნდა ვიყოთ. მაგრამ არ შეგვიძლიან, ცოტაოდენი უკმაყოფილება მაინც არ გამოვაცხადოთ. ბ. ტერტეროვი მართლა პირნათლად ასრულებს თავისს მოვალეობას, მაგრამ დალაქს, ბ. ბარელაძეს-კი უნდა ვურჩიოთ, რომ ფეხის ქირაა, თუ ცხენისა ავადმყოფთან მისვლისათვის და ნახვისათვის სამს მანეთს ცოტა რამ დაუკლოს, რადგანაც სამის მანეთის შოვნა მოწყვედილ გადაკარგულ სვანეთში მცხოვრებისათვის მეტად საძნელოა.

მეორე კარგი იქნებოდა უამისოდაც ღატაკს სვანებს წამლების მიცემის დროს ხორაგს — ყველს, პურს, ხორცს, არაყს და სხვას არ ართმევდეს. ჩემის ფიქრით ის წამლები, რომელთაც თქვენ ბ. ბარელაძევ, ურიგებთ ექიმის ბრძანებით გაჭირვებულთ, სახელმწიფოა და მუქთად უნდა ეძლიოს მათ? არამც თუ გვგონია, ეს ასეა. სვანს პურისა, ყველისა, ხორცისა და არაყის მეტი არაფერი არ გააჩნია და თუ ესეც სხვას მისცა და სხვა არჩინა, მას რაღა დარჩება?

ინ—მანი.

27 თებერვალი

**პროფესორის ი. რ. თარხნიშვილის ოც-და-ხუთის წლის მოღვაწეობის დღესასწაული.**

თუმცა პროფესორმა თარხნიშვილმა გამოაცხადა გაზეთებში, რომ წელს არ ვიდღესასწაულებ 25 წლის მოღვაწეობის დღესაო, მაგრამ სტუდენტებმა და მისმა ამხანაგებმა მაინც დიდის ამბით გადიხადეს პატივცემულის პროფესორის იუბილე.

როდესაც პროფესორი მივიდა სამკურნალო აკადემიაში ლექციის წასაკითხად, იქ დახვდა მთელი აკადემიის სტუდენტობა ერთად შეგროვილი. სტუდენტობა დიდის ტაშის კვრით მიეგება პატივცემულს იუბელარს. შემდეგ კურსის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს შესაფერი „სიტყვები". უფროსის კურსების სტუდენტებმა მიართვეს ადრესი, რომელიც ტყავის ბუდეში იყო ჩადებული, ბუდეზედ პროფესორის სახელის და გვარის პირველი ასოებია ვერცხლით ამოჭრილი; ზედ აქვს მინაქრით გაკეთებული თავადის გვირგვინი. მეორე კურსის სტუდენტებმა მიართვეს ოქროს ჟეტონი, რომელზედაც გამოხატულია სტუდენტური «ეპოლეტი»; ჟეტონის ახდა შეიძლება და შიგ შემდეგი ქრონიკონი არის 1864—1869, ამ წლებში თარხნიშვილი სტუდენტი იყო. ამ ქორონიკონს ქვეით სწერია «დავალებულნი სტუდენტები მეორე კურსისა"; ჟეტონის მეორე გვერდზედ მედიცინის ემბლემა გამოსახულია. სტუდენტების ადრესის შინაარსი შემდეგია:

„ძვირფასო პროფესორო! ღრმა მწუხარებით გეთხოვებით*) თქვენ და გვსურს გამოვსთქვათ ის გულმხურვალე მადლობა, რომელსაც ვგრძნობთ თქვენდამი, გვსურს გამოვსთქვათ ის დიდი სიყვარული, რომელსაც ჰგრძნობს თქვენდამი არა მარტო ახლანდელი სტუდენტობა, არამედ ყველა ვინც ყოფილა ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში მედიკურ აკადემიაში. ის გარემოება, რომ თქვენ მუდამ თანაუგრძნობდით სტუდენტებს და რომ სტუდენტთა და თქვენ შორის ნამდვილი მეგობრული განწყობილება ჰსუფევდა ყოველთვის, სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში. თქვენს ლექციებს ყოველთვის ესწრებოდა მრავალი ახალგაზრდობა, რომელნიც დიდის ყურადღებით გისმენდა თქვენ. თქვენს ლექციებში მოსწავლე ახალგაზრდობა პოულობდა არა მარტო უკვე ცნობილს ფაქტებს, არამედ ბევრ ახალს და მასთანავე თქვენი მჭევრმეტყველება და მგრძნობიერი სიტყვა უღვიძებდა ახალ-თაობას მეცნიერების სიყვარულს და გამოკვლევის სურვილს. ამგვარი თქვენი სიყვარულით აღსავსე მოღვაწეობა უეჭველია კარგს ნაყოფს მოიტანს.

გიძღვნით-რა ჩვენს გულწრფელს მადლობას, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ კავშირი თქვენსა და ჩვენს შორის არ შესწყდება და თქვენ არასოდეს არ დაიშურებთ, დახმარება აღმოგვიჩინოთ როგორც სწავლაში ისე ცხოვრებაში".

თვალ-ცრემლიანმა პროფესორმა დიდი მადლობა უძღვნა სტუდენტებს. „თქვენი სიყვარული ჩემდამი და ის გარემოება, რომ დიდის ყურადღებით ისმენდით ჩემს ლექციებს, მე ენერგიას მიორკეცებდა ყოველთვის. თუ მე—უბრალო და ჩვეულებრივი მუშაკი—გავხდი ღირსი ასეთის დიდის სიყვარულისა, რომელიც გამოჩენილ სწავლულებსაც ბევრჯელ არ რგებიათ, ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ მე თითონ მიყვარდა სტუდენტები, მიყვარდა ის ახალგაზრდობა, რომელიც ამ დარბაზში შეკრებილა ახლა. მე მახსოვდა ყოველთვის, რომ ჩვენ ამხანაგები ვართ და ერთად მსურს მეცნიერებას ვემსახუროთ". პროფესორის სიტყვა სტუდენტებმა დიდის აღტაცებით მიიღეს, მერე აიყვანეს და ბინამდე აყვანილი მიიყვანეს. ათას სტუდენტზედ მეტი თან გაჰყვა პროფესორს. თარხნიშვილმა კიდევ გარდაუხადა მადლობა და მიიპატიჟა სტუდენტები. რამოდენიმე ასი კაცი შევიდა პროფესორის სახლში, სადაც მათ შამპანის ღვინო მიართვეს.

დაღლილი ამდენის ამბით, თარხნიშვილი მთელი დღე სხვა-და-სხვა დეპუტაციებს ღებულობდა, რომელნიც ულოცავდნენ დღესასწაულს, სხვათა შორის, აკადემიის ექიმებმაც მიულოცეს და მიართვეს ადრესი, რომელშიაც მოხსენებულია, თუ რა დიდი სახელი გაითქვა რუსეთში და საზღვარ-გარეთაც იუბელარმა თავისს სამეცნიერო მოღვაწეობით და მჭევრმეტყველობით. იმავე დღეს სახელოვანს პროფესორს რამოდენიმე ასი მისალოცავი დეპეშა მოუვიდა, როგორც რუსეთიდგან, ისე საზღვარგარეთიდგან.

*) მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რომ მარტიდგან თარხნიშვილი უნივერსიტეტში გადადის.

**რუსეთის ცხოვრება.**

—

გაზ. „ნოვოსტი" კვლავ იუწყება, რომ ქალთა საექიმო კურსების გახსნა დამტკიცებულიაო. ამ კურსებზედ მიიღებენ ყველა იმას, ვისაც უმაღლესი ქალთა სასწავლებელი აქვს გათავებული და ან კლასიკურის გიმნაზიის ატესტატს წარადგენს.

—

პეტერბურგში ამ ჟამად საფილოქსერო კრება არის მიწვეული. ამ კრებას გარდაუწყვეტია კიდეც ერთი საგანი შესახებ რადიკალურის წამლობისა ფილოქსერიანის ვენახებისა. დაუდგენიათ, რომ ტფილისის გუბერნიაში და ქუთაისის გუბერნიის ორს ჩრდილოეთის მაზრებში კვლავ რადიკალურად იმოქმედონ საფილოქსერო პარტიებმაო. ამ დღეებში მცირე საგანსაც გარდასწყვეტს კრება: რა მონაწილეობა მიაღებინონ ადგილობრივს მცხოვრებლებს საფილოქსერო დასების მოქმედებაში.

**ნარკვევი**

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ჩინეთ-იაპონიის ომს უცხო სახელმწიფოებმა კარგა ხანია, რაც ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. ეხლა თითქმის ყველას სჯერა, რომ იაპონიას ჩინეთის უბრალოდ დამარცხება-კი არ უნდა, არამედ სხვა რაღაც სწადიან კიდევ. ეხლა რაკი მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ დაიწყეს ლაპარაკი, იაპონიამ გამოუცხადა ჩინეთს მარტო პორტ-არტურს არ დაგჯერდებიო, მანჯურია, მუკდენი და ჩინეთის კედელიც მე უნდა ჩამაბარონო.

ამის შესახებ აი რას ამბობს გაზ. „ნოვ. ვრემია":

ეტყობა, იაპონია კორეს ნახევარის კუნძულით არ დაკმაყოფილდება, მას უნდა ისეთი ალაგი დაიჭიროს, რომ ჩინეთისა და ციმბირის შუა მოექცეს. აქ-კი მეტად გადაჭარბეს იაპონელებმა. არ უნდა დაივიწყონ, რომ მანჯურია რუსეთის ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფება.

**უცხოეთი**

—

**ჩინეთი.** ნიუ-ჩვანგის აღების შესახებ შემდეგს დაწვრილებითს ამბებს იტყობინება „Central Newos"-ი. იმ დროს, როდესაც გენერალმა კოტურამ ჩინელებს ზურგი აბრუნებინა და ქალაქ მუკდენისაკენ გააქცია, გენერალმა ნოძუმ ნიუ-ჩვანგზედ მიიტანა იერიში, სამხრეთ-აღმოსავლეთიდგან მეხუთე დივიზია მიესია და ჩრდილოეთით მესამეო. დაუწყეს ნიუ-ჩვანგის ნავთ-სადგურებს ყუმბარების სროლა. ჩინეთის კავალერია ძალიან სუსტად ეწინააღმდეგებოდა და რა ვეღარ გაუძლეს მტრის ყუმბარებს, ქალაქ გარეთი სიმაგრეები დასტოვეს და ქალაქში შევიდნენო. მაშინ იაპონიის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა და მალე კარები და ყველა თხრილები დაიპყრეს. ჩინეთის ჯარების უმრავლესობამ პირი იბრუნა, რომელსაც უკან მისდევდა იაპონიის ცხენოსანი ჯარი. ქალაქში დარჩენილი ჩინელები მედგრად იბრძოდნენ: ისინი გამაგრდნენ ქუჩებში, სახლებში და იქიდგან დაიწყეს სროლა; ჩარდახებ-ფანჯრებიდგანაც-კი ესროდნენ. ამ ნაირად თითოეულ ფეხის დადგმა ადგილის აღება ბრძოლით უხდებოდათ იაპონელებს და მხოლოდ 11 საათზედ-ღა შესდგა ბრძოლა.

ჩინეთის ჯარის-კაცთა ერთმა ნაწილმა ისარგებლა ღამის სიბნელით, გაარღვია მტრის რაზმი და თავს უშველა; სხვები-კი მტერს დაჰმორჩილდნენ. ქუჩებსა და სახლებში 2,000-დე მოკლულთა და დაჭრილ ჩინელთა გვამი იპოვნეს. გამარჯვებულთ დარჩათ 600 ტყვე, დიდძალი სამხედრო სურსათი, ლაშქარის მოწყობილობა და 18 ზარბაზანი. როგორც სამხედრო ბაირაღების რიცხვი ამტკიცებს ქალაქში ბლომად უნდა ყოფილიყვნენ ჩინეთის გენერლები. იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს რამდენიმე ასი კაცი.

—

**გერმანია.** ლეიპციგის უნივერსიტეტის პროფესორებმა და თითქმის ყველა გაზეთების გამომცემლებმა ერთად მოიყარეს თავი ეგრედ-წოდებულს „წიგნების გამყიდველთა" შენობაში და მთავრობის წინააღმდეგი დადგინება დასწერეს, რომლითაც ჰგმობენ მთავრობის ძალ-მომრეობას. „ჩვენის აზრით, ის სახელმწიფო უნდა დაიღუპოს, რომელშიაც თავისუფალს ხალხს უკრძალავენ თავისუფალს მსჯელობას და კრიტიკას, აგრეთვე დაღუპულად ვრაცხთ იმ ეკლესიას, რომელსაც არა აქვს განმარტებული ასპარეზი თვისის მოღვაწეობისათვის. შეუძლებელია ფულის, ძალ-დატანების, ჯარიმებისა და საპყრობილეების შემწეობით რჯულის განმტკიცება ხალხში", სწერია ზემოხსენებულს დადგინებაში. პროფესორი პფლეიდერი, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი ასე იხსენიებს ერთს გაზეთში მთავრობის ზოგიერთ პარტიების წინააღმდეგს კანონს. იგი ვერ მიაღწევს თავისს საწადელს; სამაგიეროდ-კი მიაღწევს მას, რაც არ სწადიან.

—

**იტალია.** პარლამენტის არჩევანები მარტის უკანასკნელს რიცხვებში დაიწყება. ამ ჟამად ყოველ მხრივ მოდიან რომში პრეფექტები, რათა წარუდგინონ სამინისტროს მათდამი რწმუნებულის ოლქების პოლიტიკური მდგომარეობა და მიიღონ მინისტრისაგან ინსტრუქციები. საარჩევნო ბრძოლა გამწვავებული იქნება უფრო ჩრდილოეთში; სამხრეთისკენ-კი სამინისტროს დიდი იმედი აქვს გამარჯვებისა.

—

**საფრანგეთი.** ამ უკანასკნელს ხანებში, მინისტრად ნამყოფმა კონსტანმა ხელ-ახლად მიიქცია ყურადღება. ამ ჟამად, ამ ბულანჟიზმის დამამხობელს, გარს არტყია თითქმის ყველა ის, ვინც ამას წინად უარჰყოფდა მასთან საერთოდ მოქმედებას. კონსტანმა პოლიტიკურ წრეებთან დამოკიდებულება თან-და-თან გაახშირა. ამბობენ დიუპიუს სწორედ კონსტანი ჰყავდა სახეში, როდესაც ვიღაც მხედარზედ დაიწყო ლაპარაკი, რომლის ცხენის ფლოქო უკვე სჩანს კიდეც, მაგრამ თვით მხედარი-კი ჯერ არ გამოჩენილაო.

—

**ბერლინი.** ამ დღეებში 80 წლის იუბილეს გარდახდის უპირებენ თავ. ბისმარკს მისი მომხრეები. მაგრამ იუბილეს მილოცვისა უარი განაცხადეს: ბერლინის ქალაქის საბჭომ, ბრესლავის სამაგისტრატორომ და პარლამენტის იმ დეპუტატებმა, რომელნიც ცენტრს, თავისუფალ მოაზრეთ და სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნიან.

როგორცა სჩანს, თანაგრძნობის მოსაპოვებლად არ კმარა, რომ კაცი მხოლოდ „დიდი" იყოს; ეტყობა, სხვა რამეც ყოფილა კიდევ საჭირო, რომელიც თ. ბისმარკს უთუოდ აკლია და ეს სხვა რამ არის—სამართლიანობა და სხვათა უფლებათა დაფასება.

—

**პარიზი**, 1 მარტი. ისპანიის გემი „Reine Regente", რომელმაც კვირას მოსკოვს დესპანნი მოიყვანა ტანჯერს, ჯერ არ არის დაბრუნებული კადიკსში. ცუდი ამინდების გამო ხმელთაშუა ზღვაზედ, ფიქრობენ, რომ გემი დაღუპულა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლონდონი**, 2 მარტს. გიბრალტარიდგან იუწყებიან რომ „Reine Regente“-ის ფილუკების ნამტვრევები გამოუყრია ზღვის ნაპირზედ. გემზედ 420 კაცი ყოფილა.

—

**ვენა**, 2 მარტს. ტარნოპოლიდგან იწერებიან, რომ ყველა ისინი, რომელთაც ჰბრალდებოდათ სახელმწიფო ღალატი და იმპერატორის შეურაცხყოფა, სამსჯავროსაგან გამართლებულ იქმნენ.

—

**ნიუ-იორკი**, 2 მარტს. ვალენსბურგში ხუთს მოგზაურს იტალიელთ, რომელთა შორის ორს კაცის კვლა ჰბრალდებოდა, თავს დაესხა ექვსი ნიღაბ ჩამოფარებული და შეიარაღებული მხედარი. ერთი იტალიელი დაჭრილია მკერდში. ეს დაჭრილი და ვილაც დანინო, რომელსაც წინად ჰბრალდებოდა კაცის მოკვლა, გაგზავნილ იქმნენ საპყრობილეში. დანარჩენ სამი იტალიელის ამბავი არ იციან. მეორე დღეს ხალხმა შეამტვრია ციხის კარები და იქვე მოჰკლა დანინო და დაჭრილი მისი ამხანაგი.

მართალია ამგვარი მსჯელობა ველურია, მაგრამ არც ერთს გონიერს კაცს აზრად არ მოუვა ამ შემთხვევის გამო ვაშინგტონის სამშობლო დაჰგმოს და ამერიკელებს მხეცები უწოდოს! რა ამბავს შეჰქნიდნენ ჩვენნი წესიერების დამცველნი, საქართველოში რომ მომხდარიყო რაიმე ამის მსგავსი?!..

უეჭველია „მოსკოვ. უწყება“ და იმის აქაური მოციქულნი მთელი ქართველის ერის გადასახლებასაც-კი დაიწყებდნენ მოინდომებდნენ.

## ბიბლიოგრაფია.

გამოიცა თუ არა ბ-ნის იაკობ გოგებაშვილის „საყმაწვილო კონა“ შარაძის სტამბაში, დაიწყო ბეჭდვა მისისავე წიგნისა „კოკორი“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი. იბეჭდება ექვსი-ათასი ცალი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ. იგივე საზოგადოება ჰბეჭდავს ახალს მეთერთმეტე გამოცემას „დედა-ენისას“ რიცხვით თვრამეტ ათასსა. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ჩართული აქვს ესრედ წოდებული დედნები—სურათები (картинки-прописи), რომელნიც შეიცავენ ას-ორმოცამდე სურათს მარტივსა და რთულსა. გარდა ამისა, იმ სიტყვებს, რომელნიც დასავლეთს საქართველოში არ იხმარებიან, დამატებული აქვთ იქითური სიტყვებიცა, მაგალ.: ლოქო ანუ ღლავი, თაბახი ანუ გობი და სხვა. ასე რომ იმერნი სწავლობენ აქითურს სიტყვებსა და ამერნი იქითურსა.

ამ წიგნების დაბეჭდვას ზედ მოჰყვება მეორე გამოცემა წიგნებისა: „ასპინძის ომი“ და „იავ-ნანამ რა ჰქმნა“ დასურათებული. ახლა აღარც ერთი ამ წიგნთაგანი აღარ მოიპოვება გასასყიდად, რადგანაც პირველი გამოცემა მთლად გაისყიდა. გარდა ამისა დაიბეჭდება ორი ახალი წიგნი იმავე ავტორისა: „აკიდო“, ანუ კრებული სხვა-და-სხვა საყმაწვილო მოთხრობათა და „გუნდი თავდადებულთა“ ანუ კრებული საყმაწვილო მოთხრობებისა საქართველოს ისტორიიდგან. სულ ამ გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში დაიბეჭდება მარტო ერთი ავტორისა ოც-და-ათი ათასი (30,000) ცალი წიგნი.

## თეატრის მატიანე.

თელავი, 5 ს მარტს. დღეს სომეხთა საქ.მოქ. საზოგადოების თეატრში იყო ქართულ-რუსული წარმოდგენა. წარმოადგინეს: „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“ თარგმანი რ. ერისთავისა; „მოტია“ გადმოკეთებული მესხისა და „Не зная броду, не суйся въ воду.“ მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი სტანიშევსკისა (რუსიევის ასული), ქ-ნი დიდებულიძისა, ბ. აწყურელი, ბ. გამყრელიძე, თავადი ვახვახოვი და ბ. თამარიძე. წარმოდგენას მეტად მცირე საზოგადოება დაესწრო. ვგონებ, ხარჯს ძლივს გაისტუმრებს შემოსავლი. სამწუხაროა, რომ ამისთანა უაზრო კომედია—ვოდევილებს, როგორც ზემორე მოხსენებულებია წარმოადგენენ ხოლმე.

დიდის მადლობის ღირსი იქმნება ჩვენი სცენის მოყვარე ბ. აჯიმამუდოვი, რომელიც სცენისათვის ერთგულად შრომობს და მეცადინეობს, თუ ჩვენს პროვინციალურს სცენაზედ შეუფერებელს არას გვიჩვენებდეს ხოლმე. საზოგადოდ ყველგან ჩვენს მსახიობას და სცენის მოყვარეთ უჩივიან, რომ ისენი როლებს ბეჯითად არა სწავლობენ და ხშირად შეუფერებელს პიესებს არჩევენ. პიესებისა და ადგილის შეფერება უეჭველად საჭიროა; ამისი უარ-ყოფა მტრობაა სცენისა და არა მოყვრობა. შეუფერებელი და უაზრო პიესებით ისე შეიძლება შეაძულოს კაცმა სცენა საზოგადოებას, რომ მერე ვეღარც პიესების არჩევამ და ვერც მსახიობთა საუკეთესო ხელოვნებამ ვეღარ მიიზიდოს ერთხელ დაფრთხობილი საზოგადოება, ამიტომ საჭიროა ეს გარემოება იქონიონ სახეში. საზოგადოების გულგრილობას შეიძლება მოჰყვეს ისიც, რომ სცენის მოყვარულთა რიცხვი შემცირდეს. ახალ-ახალი ნიჭნი ვეღარა ვნახოთ და ვეღარ გავავარჯიშოთ სცენაზედ. აი, თუნდა ქ-ნი სტანიშევსკისა, რომელმაც მშვენიერად ითამაშა ხანში შესულ მანდილოსნის როლი და თ. ვახვახოვი, რომელმაც კარგად დაგვიხატა კამენდინერი. ღირსნი არ არიან წაქეზებისა, რომ მათ თავისი ნიჭი განავითარონ? მათი წაქეზება სხვა ახალ ნიჭთაც გამოიწვევს სცენის ასპარეზზედ, მაგრამ წაქეზება მაშინ ექმნებათ, როცა წარმოდგენა დამსწრე საზოგადოებაზედ აზროვნების კვალს დასტოვებს და არა მაშინ, როცა უაზრო მასხარობით მოინდომებენ საზოგადოების გართობას.

თელავის ინტელიგენცია მოვალეა ითავოს და ისარგებლოს საუკეთესო მსახიობთა ქ-ნ დიდებულიძისა, ბბ. აწყურელისა და გამყრელიძის აქ ყოფნით, სცენის მოყვარეთა რიცხვი განამრავლოს, თუ საჭირო იყოს, ტფილისიდგანაც მოიწვიოს და წარმოადგინოს ისეთი პიესები, რომელთა ნახვა და გაგონება საზოგადოებას ზნეობითა და გონებით აღამაღლებს, გემოვნებას გააუკეთესებს. ჭეშმარიტად კმარა ამდენი დაუდევნელობა! ყველას ნუ მათქმევინებთ... დროა, თვალები მოვიფშვნიტოთ და ყველამ თავ-თავისი ადგილი დავიჭიროთ.

ი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

„ივერიის“ მე-42 №-ში დაბეჭდილია ლეჩხუმის მაზრის უფროსის ბ. ბაქრაძის შენიშვნა. ბ-ნი ბაქრაძე ძალიან უწყრება იმ წერილის ავტორს, რომელიც მე-34 №-ში იყო დაბეჭდილი ს. ლაშხეთისა და იმათის ნაკლულევანებების შესახებ. ბ-ნი ბაქრაძე სწერს თავისს შენიშვნაში: „მე, ერთი წელიწადია, გახლავართ ლეჩხუმის მაზრის უფროსად, ე. ი. მმართველად და ამ დროს არა რაიმე ცუდი, არც მკვლელობა და მძიმე ჭრილობანი არ მომხდარა და აგრეთვე გზებისა და ხიდების შესახებ, ვითომც ისინი ძალიან კარგი იყოს. მაგრამ უნდა მოვახსენოთ ბ-ნს ბაქრაძეს, რომ იგი ზაფხულს აქეთ არ ბრძანებულა ს. ლაშხეთში და უთუოდ არც მოეხსენებიათ ის ნაკლულევანებანი, რაც აქაურ მცხოვრებთ აქვთ.

ბოლოს ამბობს ბ-ნი ბაქრაძე, რომ სვანეთში განათლება არ არის შემოსულიო. სამას კომლამდე მეტი გლეხი და თავად-აზნაურობაა აქ და ერთკლასიანი ს სწავლებელიც-კი არა აქვთო“. ძალიან გვიკვირს, რატომ სწერს ამას ბ-ნი ბაქრაძე; საიდგან შეიძლება იქ რაიმე კარგი იქმნას, სადაც ყოფილის მაზრის უფროსის ბ-ნ ალშიბაიას შემწეობით უკვე აშენებულია სახლი სასწავლებლისათვის, მაგრამ დღევანდლამდე ერთი მოწინავე კაცი არა ჰყავთ, რომელმაც უშუამდგომლოს, რომ მასწავლებელი მალე დაუნიშნონ. მოგეხსენებათ, მარტო შენობა არაფერს შეადგენს.

თავადი ინდიკო გელოვანი.

28 თებერვალს, 1895 წ.
ს. ცაგერი.

—

„ივერიის“ მე 30 №-ში მოთავსებულია გორიდგან ბ. მზე-ჭაბუკის კორესპონდენცია, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, ამბობს, რომ „გორის საქალაქო სასწავლებელში ქართული ენა მივიწყებულია; მოწაფეების გონებრივად განვითარების მაგიერად „მუსიკებია“ შემოღებული; თუ „გენარლის შვილივით“ გამოპრანჭული არ არის მოწაფე, ან თუ დროზედ ფული არ შეიტანა, სასწავლებლიდგან ითხოვენ: თუ ღარიბი ხარ, ნუ ისწავლიო... საწყალ მოსწავლეთა რიცხვი დღით-დღე აკლდება სასწავლებელს, ხოლო მდიდრებისა-კი ემატებაო“...

ჭეშმარიტების აღსადგენად იძულებული ვარ უმორჩილესად გთხოვოთ, ბ. რედაქტორო, ადგილი უბოძოთ „ივერიის“ მახლობელს №-ში შემდეგს სტრიქონებს:

1) ქართული ენა ჩემდამო რწმუნებულს სასწავლებელში მივიწყებული კი არ არის, არამედ, თანახმად ამ საგნის შესახებ დაწესებულის პროგრამისა, შესაფერს წრეზედ სდგას: ამ საგანს ასწავლის საქალაქო სასწავლებლისავე ქართველთაგანი მასწავლებელი კერძოდ დაწესებულ ფასად.

2) „მუსიკის“ პრაქტიკულ მნიშვნელობის შესახებ მოზარდ თაობის გონებრივად განვითარებისათვის სრულიად მეტად მიმაჩნია ბაასი გავმართო ბ-ნ მზე-ჭაბუკთან, რომელსაც მუსიკის მნიშვნელობა იქნება არც-კი ესმის.

3) სასწავლებელი, მართალია, ავალებს მოსწავლეებს, რომ ისინი თავიანთის ტანთსაცმელით „ქსერქსის ჯარს“-კი არ მოგვაგონებდნენ, არამედ მათ უნდა ეცვათ ერთის სფერის ტანისსამოსი (ფორმა), რომელიც ხელმწიფე იმპერატორისაგან არის დამტკიცებული და ამიტომ სავალდებულოა ყველა საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთათვის. მაგრამ რომ შეუმსუბუქოს და გაუადვილოს ღარიბ მოსწავლეთ ფორმის ტანისამოსის შეძენა, სასწავლებლის მმართველობამ ნება დაჰრთო მოწაფეებს, იაფის ბუმაზეს ერთ ფერი ბლუზი—შარვალი ჩაიცვან, ნაცვლად იმ ძვირფასის მაუდის ტანისამოსისა, რომლის ტარებაც კანონით სავალდებულოა) და ჩექმების მაგივრად კიდევ—უბრალო ჩუსტები.

4) მოსწავლენი, რომელნიც დანიშნულს ვადაზედ სწავლის ფულს არ შემოიტანენ და ამასთანავე არც სწავლითა და ყოფა-ქცევით დაუმსახურებიათ, რომ სწავლის ფული აპატიონ, უნდა დათხოვნილ იქმნენ სასწავლებლიდგან, ვიდრე ფულს შემოიტანდნენ: ასეთი კანონია ყველა სასწავლებელში, მაგრამ ჩემდამო რწმუნებული სასწავლებელი საჭირბოროტო საგნად გახადეს ზოგიერთა არდგილობრივ კორესპონდენტებმა, ცილსა სწამებენ და იმას-კი აღარ მოიფიქრებენ, რომ ეს სასწავლებელი სწორედ იმ წესსა და რიგს ადგას, როგორც მრავალი სხვა ამგვარი სასწავლებელი. ნუ თუ ყოველივე ეს ბ. მზე-ჭაბუკისათვის საიდუმლოა?!

5) რაც შეეხება იმას, რომ ვითომ მოსწავლეთა რიცხვიდგან, მმართველობის სურვილისამებრ, ღარიბი ელემენტი ირიცხება სასწავლებლიდგან, არც ეს არის მართალი. ჩვენის სიმართლის დასამტკიცებლად მომყავს ანგარიში, ამოწერილი ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ამა უკანასკნელის ექვსის წლის ანგარიშიდგან შესახებ გორის საქალაქო სასწავლებლისა.

| წელიწადი. | მოსწავლეთა რიცხვი. | უფასოდ მოსწავლეთა რიცხვი. | რამდენ % შეადგენს უფასოდ მოსწავლეთა რიცხვი. | რამდენ მანეთს შეადგენდა ის ფული, რომლისგანაც მოსწავლენი განთავისუფლდნენ. |
|---|---|---|---|---|
| 1889 | 214 | 40 | 18,6 | 480 |
| 1890 | 214 | 51 | 23,8 | 612 |
| 1891 | 238 | 60 | 25,2 | 720 |
| 1892 | 234 | 65 | 27,7 | 780 |
| 1893 | 276 | 80 | 29,0 | 960 |
| 1894 | 261 | 87 | 33,0 | 1044 |

შეჰხედეთ, ბ. კორესპონდენტო, ამ სიას: 1889 წელში უფასოდ სწავლობდა მხოლოდ 18,6% მოსწავლეთა რიცხვიდგან; ეს 18,6%, როგორცა სჩანს, პროგრესიულად ჰმატულობდა და 1894 წ. გახდა 33%.

ამის შემდეგ გვიბრძანეთ, ბ. კორესპონდენტო, ამგვარს მოქმედებას უწოდებთ თქვენ სასწავლებლიდგან ღატაკის ელემენტის განდევნას?!.

იმასაც ნუ დაივიწყებთ, ბ. მზე-ჭაბუკო, რომ სასწავლებლის მმართველობა ვალდებულია მოსწავლეთა რიცხვიდგან მხოლოდ 10%, ესე იგი მეათედის მეტი, არ გაანთავისუფლოს სწავლისათვის გადასახად ფულისაგან, მაგრამ, როგორც მოყვანილი სია გვიმტკიცებს, იგივე მმართველობა ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს, თითქმის ყველა ღარიბ მოსწავლეთ მუქთად მიაღებინოს სწავლა და მეათედის მაგიერად მესამედსაც-კი ასწავლის უფასოდ.

დასასრულ ყოვლისა, საჭიროდ ვრაცხ, მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთს გარემოებასაც: თანახმად უმაღლესის მთავრობის განკარგულებისა, ყველა სასწავლებლის უფროსი მოვალეა, რომ პასუხი იმ კორესპონდენციის გამო, რომლითაც გაზეთები ბრალსა სდებენ რასმე სასწავლებელსა, წარუდგინოს სასწავლებლის საოლქო მზრუნველსა: „ცირკულიარი კავკასიის ოლქის სამოსწავლო სამმართველოსი“, 1894 წ., № 11, გვერდი 800. ამიტომ, შენიშვნა რომ არ მიმეღო ჩემის მთავრობისაგან, მეც ასე მოვიქეცი. მზე ჭაბუკის კორესპონდენციის გამო პასუხი ოლქის მზრუნველს წარვუდგინე *).

გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ტ. მამალაძე.

ქ. გორი, 28 თებერვალს, 1895 წ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში დასტამბულს წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა კრების ანგარიშში ხლად ამორჩეულ სარევიზიო კომისიის წევრად, სხვათა შორის, თქვენს მოანგარიშეს მეც დავუსახელებივარ. როგორც კრებაშივე განვაცხადე, ამ თანამდებობას ვერ ვიკისრებ იმ პატივ-სადებ მიზეზის გამო, რომ კარგა ხანს მომიხდება ქალაქ გარეშე ყოფნა. ეს გარემოება, თქმა არ უნდა, ხელს შემიშლის ჩემი მოვალეობა აღვასრულო.

გრიგოლ დიასამიძე.

ტფილისი, 7 მარტს, 1895 წ.

## ღარიბ კავკასიელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტი *).

1. საზოგადოებას აზრადა აქვს ქონებრივი დახმარება გაუწიოს კავკასიელ ორივე სქესის ღარიბ მოსწავლეთ.

2. ამ აზრით, საზოგადოება, როგორც-კი შეიძენს საკმაო თანხას, ეხმარება ქონებრივად მდაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების გაჭირვებულ მოსწავლეთ. აარსებს მათთვის ერთად საცხოვრებელს სახლებსა და იაფ ფასიანს სასადილოებს.

3. საჭიროებისა მიხედვით და მთავრობის ნება რთვით საზოგადოებას

---

*) ამასთანავე გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა გამოგვიგზავნა ჩვენ პირი საქმის ქაღალდისა, რომელიც მას მოჰსვლია. მ ქაღალდიდგან სჩანს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს არ დაუნახავს ასაჭიროდ, რომ დაეკმაყოფილებინა თხოვნა ბ-ნის მამალაძისა. ხოლო თხოვნა ბ-ნის მამალაძისა იმაში მდგომარეობდა, რომ ბ-ნს მზრუნველს კანონის ძალით დაებეჭდვინებინა ის წერილი, რომელსაც ახლა ჩვენ ჩვენის ნებით ვსტამბავთ. არ გვესმის აქ მხოლოდ ერთი რამ: რატომ გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი პირველადვე არ მოიქცა ისე, როგორც ახლა უნებებია, ე. ი. რატომ პირველადვე არ სთხოვა რედაქციის ჭეშმარიტებას აღედგინა?

რედ.

*) ვბეჭდავთ შემოკლებით ღარიბ კავკასიელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტს, რომელიც ამ დღეებში გამოგვიგზავნეს ბ.ბ. ჯაბადარმა და ინასარიძემ.

ამ დღეებში ველით ქართველ სტუდენტების მიერ შედგენილს წესდებას, რომელსაც მიღებისათანავე დავბეჭდავთ და შემდეგ ამისა ორივე წესდების შესახებ გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს.

რედ.

შეუძლიან სხვა ქალაქებშიაც გახსნას ადგილობრივი განყოფილებანი.

4. საზოგადოების თანხას შეადგენს: ა) საწევრო შესატანი; ბ) ერთხანი შეწირულება ფულით, ნივთებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით და ყოველგვარ მოძრავ და უძრავ ქონებით; გ) ფული, რომელიც შემოვა მთავრობის ნებართვით გამართულ წარმოდგენებისა, კონცერტებისა, საჯაროდ საკითხავ სალამოებისა და სხვა ამ გვარ კანონის მიერ ნებადართულ საშუალებიდგან.

5. საზოგადოებას შეადგენენ: ა) საპატიო წევრნი, რომელთა რიცხვიც 12 არ აღემატება. საპატიო წევრებად აირჩევიან მმართველობის წარდგენით მხოლოდ ისინი, ვინც რაიმე განსაკუთრებული სამსახური გაუწია საზოგადოებას; ბ) ნამდვილნი წევრნი, რომელთაც ან ერთად შეიტანეს საწევრო ფული, ან არა ნაწილ-ნაწილად შეაქვთ, თანახმად წესდების მე-§ 7-ლისა და გ) გულშემატკივარნი, რომელთაც შეძლებისა და-გვარად შეაქვთ საწევრო.

6. საზოგადოების წევრებად მიიღებიან ორივე სქესის სრულ-წლოვანნი. წევრთა მიღებას მმართველობა დახურულ კენჭის ყრითა სწყვეტს, დამსწრე პირთა ხმის უმეტესობით და მერე ეს გარდაწყვეტილება საზოგადოების წევრთა საერთო კრებას წარედგინება.

7. საზოგადოების წევრნი საწევროს ასე იხდიან: ა) ნამდვილნი 50 მან. ერთხანად და ბ) გულშემატკივარნი შეძლებისა და-გვარად, ხოლო როდესაც წვრილ-წვრილად შეტანილი ფული 50 მან. ავა, მათ წესდების მე-§ 5 მუხლის ძალით უფლება ეძლევათ ნამდვილ წევრებად იქმნენ ჩარიცხულნი.

შენიშვნა. ნამდვილ წევრებსაც ეძლევათ უფლება საწევროს წვრილ-წვრილად შეტანისა, შესვლის დროს 10 მან. და მერე ორ-ორი მანეთი თვიურად 20 თვის განმავლობაში.

9. იმ წევრთ, რომლებსაც საწევრო თავისს დროზედ არ შეაქვთ, საზოგადოების კრებებზედ ხმისა და რაიმე თანამდებობაზედ ამორჩევის უფლება ერთმევათ.

10. საზოგადოების საერთო კრებებზედ საპატიო და ნამდვილთ წევრთ ერთის ხმისა და ერთის კენჭის უფლება ეძლევათ, ხოლო გულშემატკივართ ეძლევათ ნება რჩევის მიცემისა და რომელსამე თანამდებობაზედ არ იქნებიან ამორჩეულნი.

11. საზოგადოების საქმეების მართვა ეკისრება მმართველობას, რომელსაც შეადგენენ თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, მმართველობის სამი წევრი, ხაზინადარი და მდივანი.

17. საზოგადოების მმართველობის მოვალეობას შეადგენს ის, რომ გაფართოვდეს მოქმედება ამ საზოგადოებისა, როგორც გაზრდა საზოგადოების ქონებისა, მეთვალყურეობა იმისი, რომ დროზედ იქნას შემოტანილი საწევრო ფული, აგრეთვე განიხილოს გაჭირვებულ მოსწავლეთა თხოვნები და საზოგადოების ქონების მიხედვით საჭირო დახმარება აღმოუჩინოს, დააარსოს ღარიბ მოსწავლეთათვის საზოგადო საცხოვრებელი სახლები და იაფ-ფასიანი სასადილოები, იშუამდგომლოს საზოგადოების საქმეებისათვის იმ დაწესებულებათა და წარჩინებულ პირებთან, რომლებთანაც რაიმე დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას, აწარმოოს საზოგადოების ანგარიში, შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა, მოიწვიოს ჩვეულებრივი და საგანგებო საზოგადო კრებები, დაიცვას საზოგადოების ინტერესები თვისს რწმუნებულ კაცებით, რისათვისაც ამ უკანასკნელთ უთუოდ უნდა ჰქონდეთ მმართველობისაგან მიცემული რწმუნების ქაღალდები.

21. ყველა ისინი, რომლებიც საზოგადოების საქმეებს აწარმოებენ, ამ თვისს თანამდებობას უსასყიდლოდ ასრულებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებსაც თვითონ საზოგადოება იცნობს საჭიროდ დაჯილდოებისა.

23. მოსწავლეთა საჭიროებას მმართველობა მხოლოდ საზოგადოების თანხის სარგებელს ახმარებს.

25. სრულ-წლოვანნი გაჭირვებულნი მოსწავლენი, რომლებსაც საზოგადოება ეხმარება, საზოგადოების მმართველობას აძლევენ ხელ-წერილს, რომლითაც მოვალენი არიან სწავლის დასრულებისა და საქმის შოვნის შემდეგ მათზედ დახარჯული საზოგადოების ფული უკანვე დაუბრუნონ.

27. შეძლებისა-და გვარად და ბბ. გუბერნატორისა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით საზოგადოება აარსებს უფასო საზოგადო საცხოვრებელს სახლებსა და უფასო, ან იაფ-ფასიანს სასადილოებს.

28. მე-27 მუხლში მოხსენებულის მიზნისათვის საზოგადოებას შეუძლიან კანონიერად შეიძინოს უფლება საკუთრებისა უძრავ ქონებათა იმ თანხიდგან, რომელიც საზოგადოების ხელ-უხლებელს თანხას შეადგენს.

29. გაჭირვებულ მოსწავლეთა დაკმაყოფილების წეს-რიგი ეკუთვნის საზოგადოების მმართველობას.

30. საზოგადოების დიდად საყურადღებო საქმეების გარჩევა და გარდაწყვეტა საერთო კრებაზედ უნდა მოხდეს, რომელიც ყოველ-წლიურად იქნება ხოლმე მოწვეული მარტში, ან არა და საგანგებო კრებაზედ, რომელსაც მოითხოვენ მმართველობა და საზოგადოების წევრთა ერთი მეთხუთმეტედი ნაწილი ტფილისში მცხოვრებთა. ადგილი, სადაც შესდგება კრება, დრო და აგრეთვე საგნები, რომლებსაც კრება განიხილავს, უნდა ეცნობოს ბ-ნს გუბერნატორს და საზოგადოების წევრთ განსაკუთრებულის უწყებებით, რომლებიც კრების ათის დღის წინად გაეგზავნებათ და აგრეთვე გამოცხადდება ადგილობრივს გაზეთებში.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 მარტი.

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორს გამოეთხოვა გერმანიის ელჩად ნამყოფი ვერდერი. გუშინვე გამოეთხოვა ვერდერი იმპერატრიცებს მარიამ თეოდორეს ასულს და ალექსანდრა თეოდორეს ასულს. გენერალ ვერდერს ხელმწიფემ უბოძა წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ჯვარი.

7 მარტი.

**პარიზი.** იტალიელ დუკმა აოსტისამ დანიშნა პრინცესა ორლეანისა ელენე. პარასკევს დუკი რესპუბლიკის პრეზიდენტთან მივა ვიზიტად.

**ბერლინი.** „National Zeitung“-ი ამბობს, რომ ჯერ არ იციან ვინ იქნება დანიშნული პეტერბურგში ელჩად ვერდერის მაგიერ.

**ლონდონი.** ლი-ხუნგ-ჩანგი მივიდა ქალაქ სიმონესკში, სადაც მიეგებნენ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელენი. შემდეგ ლი-ხუნგ-ჩანგი, რომელსაც თან ახლდა ამერიკელი ფორსერი მივიდა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის სანახავად.

## „ივერიის“ ფოსტა.

**თელავს, ი-ს.**—ექსპედიტორმა მხოლოდ ნახევარი იმისა მიიღო, რასაც იწერებით. საქმე თითონ თქვენს კაცს აურევია. დღეიდგან გეგზავნებათ ორი №.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი.** ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

მოსამზადებელი სასწავლებელი
**ი. პ. როსტომაშვილისა**

ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე.

სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

---

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა რადინოვისა. ს

---

გაიხსნა **ახალი** წიგნის მაღაზია ქ. ტფილისში, მიხეილის ქუჩა, № 97.

ისყიდება ყოველგვარი საყმაწვილო და სახალხო წიგნები რუსულს ენაზედ („პოსრედნიკისა“ და სხვ.) წიგნების ფასი—ორი კაპეიკიდგან. მაღაზია კისრულობს იაფ-ფასიან ბიბლიოთეკების შედგენას (არის ერთ-მანათიანიც). გამოწერა შეიძლება ფასდებული ამანათითაც (наложеннымъ платежемъ). უ.

---

მეფე დავით აღმაშენებელი
**და იმისი დრო**
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
**ფასი ორი აბაზი**

---

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის ახალი გამოცემანი:

**სამზარეულო**
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
**ფასი მანეთ ნახევარი.**

---

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

**ვკისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 სათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

15—13)

---

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული
**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**
წიგნი შეიცავს 600-მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით,
**ფასი** 50 კაპ.

**უბის წიგნი** 1895 წ.
მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**
დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული,
ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**
დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული,
ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის პრებული**
სახალხო გამოცემა,
ფასი 15 კაპ.

---

**ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები**
**ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა**

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირე (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ზოთლობით ისყიდება კავკასიის საათფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, ( ახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუდაღოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—)4.


Дозвено цензурою, Тифлисъ 8-го Марта 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე